ირაკლი კობახიძე საქართველოს პრემიერ-მინისტრად წარადგინეს, ხოლო ირაკლი ღარიბაშვილი პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარედ აირჩიეს



პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის **ირაკლი კობახიძის** თქმით მინისტრთა კაბინეტში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ იგეგმება.

მხოლოდ თავდაცვის მინისტრმა ვაუანშერ ბურჭულაძემ დატოვა პოსტი და სხვა სფეროში გადაინაცვლებს. თავდაცვის მინისტრის თანამდებობაზე პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის ირაკლი ჩიქოვანს წარადგენენ

ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 3 (10470) 5 თებერვალი 2024 წ. ფასი 80 თეთრი.

მუნიციპალური დოკუმენტი ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებაზე იქნება ორიენტირებული

ოზურგეთში დასრულდა მუშაობა მუნიციპალიტეტის პოლიტიკის დოკუმენტზე, რომელიც ორიენტირებული იქნება ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებაზე.

„დაინტერესებულ მხარეებს მინდა ვუთხრა, რომ დასრულდა მუშაობა მუნიციპალიტეტის პოლიტიკის დოკუმენტზე – ეს არის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი, რომელიც ორიენტირებული იქნება ადგილობრივი ეკ-ონომიკის განვითარებაზე. მასში გაწერილია ადგილობრივი ხელისუფლების ხედვა, მიზნები და ამოცანები, ასევე, მათი მიღწევის კონკრეტული მექანიზმები,“– განაცხადა ოზურგეთის მერმა, **ავთანდილ თალაკვაძემ.**

მისი თქმით, ამ გეგმით განსაზღვრულია მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითადი კურსი მომდევნო 4 წლის განმავლობაში.

„აქვე გეტყვით, რომ დასრულდა მუშაობა მდგრადი განვითარების მიზნების მუნიციპალურ დოკუმენტზე, რომელიც სრულად ეყრდნობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციებს, რომლის მიხედვითაც მუნიციპალურ პრიორიტეტებად განისაზღვრა 11 მიზანი და 30 ამოცანა. ეს დოკუმენტები საკრებულოს უკვე წარედგინა განსახილველად. მადლობას ვუხდი საქართველოს მთავრობას და ყველა საჯარო მოხელეს ვინც ჩართული იყო, ასევე, სამოქალაქო საზოგადოების და კერძო სექტორის წარმომადგენლებს დოკუმენტების შემუშავებაში შეტანილი წვლილისთვის,“ – აღნიშნა მერმა.

მორიგი დაპირისპირება ოზურგეთის საკრებულოს სხდომაზე

რას პასუხობს რადიკალურ ოპოზიციას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი

ალიონი. 31 იანვარს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა ხმაურითა და დაპირისპირებით დაიწყო. ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატმა თათია ნიკოლაშვილმა საკრებულოს თავმჯდომარის დავით დარჩიას მიერ დეპუტატებისათვის სხდომის დღის წესრიგის გაცნობისა და ლავრენტი ბიგვავას მიერ მისასალმებელი სიტყვის დასრულებისთანავე საკრებულოს და მერიას ბრალდებებით მიმართა:

–ოზურგეთის მერის 8 პუნქტიანი გეგმიდან სპორტული ინფრასტრუქტურა მოწესრიგდებოდა, არ შესრულდა. ბატონმა ავთანდილ თალაკვაძემ გასცა დაპირებები, რომ სპორტი იქნებოდა ყველასთვის ხელმისაწვდომი და მე ახლა ხელში მიჭირავს სოფელ ბახვში, ბატონი ავთანდილის მიერ წარმოდგენილი მაკეტი, თუ როგორი უნდა ყოფილიყო სოფელში საფეხბურთო მოედანი და ბავშვებისთვის გახსნილიყო საფეხბურთო სკოლა, საფეხბურთო მოედნის ნაცვლად კი, ღორები დადიან სტადიონზე. ბავშვებს საერთოდ არ აქვთ გარემო.

ეს არის ლაშეს სტადიონი, სადაც „მერცხალის“ ახალგაზრდა თაობა, პერსპექტიული, წარმატებული ვარჯიშობენ ასეთ გარემოში. – განაცხადა **თათია ნიკოლაშვილმა.**

ნიკოლაიშვილს შესაბამისი პასუხები გასცა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ **გიორგი ღურჯუმელიძემ.** მან ჩამოთვალა ყველა ის პროექტი, რომლითაც ახალი სპორტული ინფრასტრუქტურა მოეწყო ოზურგეთში, მუნიციპალიტეტის დასახლებებში.

სიტუაცია განსაკუთრებულად მას შემდეგ დაიძაბა, როცა ნიკოლაიშვილმა ოზურგეთის ბაღების გაერთიანებაში უხარისხო ხორცის შეტანის შესახებ განაცხადა:–*ბაღებში უხარისხო ხორცი კალმით გადადღაბნილი, გაყალბებული დოკუმენტაციით შეაქვთო.*

„პოლიტიკურად ბეცო, უცო-დინარო და უტვინო“ –ასე შეაფასეს ნიკოლაიშვილის გამოსვლა „ოცნების“ დეპუტატებმა და **ქეთი ხომერიკმა** ხორცის ვარგისიანობის შესახებ სურსათის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი ექსპერტის დასკვნაც წარმოადგინა.

– ოზურგეთის საბავშვო ბაღებში არის უსაფრთხო გარემო. სურსათის ეროვნულ სააგენტოში მიტანილი ხორცის ხარისხი ეჭვს არ იწვევს – განაცხადა **გიორგი ღურჯუმელიძემ.**

– სტიქიით დაზარალებული ადამიანები შველას ითხოვენ ამ დრომდე. გზები დაზიანებულია და ბავშვებს უჭირთ სკოლაში მისვლა. ლესელიძის ქუჩის მე-2 შესახვევის მაცხოვრებლები, რომლებსაც გზა ფაქტობრივად აღარ აქვთ, დახმარებას ითხოვენ, მაგრამ მერი ერთხელაც არ უნახავთ – ასეთი იყო ოპოზიციონერი დეპუტატის მორიგი ბრალდება.

გიორგი ღურჯუმელიძემ განმარტა, თუ რა სახის დახმარებები გაეწია ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებისაგან სტიქიით დაზარალებულებს... ამასთანავე ნიკოლაიშვილს დაუზუსტა, რომ დეპუტატს ქუჩა შეეშალა, იგი სხვა ქუჩაზე საუბრობდა და მას გეოგრაფიის უკეთ ცოდნა ურჩია.

ნაციონალ დეპუტატებს ამჯერად სხდომა არ დაუტოვებიათ და რამდენიმე დეპუ-

გვ–3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 150 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 180-180 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 400 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 400 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 75 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 30 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 80 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 3,20 ლარი,
სამი თვით – 9,60 ლარი,
6 თვით –16 ლარი,
ერთი წლით – 32 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი

ნუგზარ ასათიანი

nugzarasatiani15@gmail.com

558 499100

კომპიუტერული უზრუნველყოფა

გიორგი გოგოლაძე

gia_77@mail.ru

551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3

ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“

მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოჰშაბათი აღიონზე

«ალიონით»

მორიგი დაპირისპირება ოზურგეთის საკრებულოს სხდომაზე

რას პასუხობს რადიკალური ოპოზიციას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი

ტატი სხდომას ბოლომდე დაესწრო.

იმავე დღეს რადიკალური ოპოზიციის ბრალდებებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა ავთანდილ თალაკვაძემ უპასუხა:

– *რადიკალური ოპოზიცია ნაცმოძრაობის საპარლამენტო სიაში მოსახვედრად ყველაფერს კადრულობს და საკუთარი ქალაქის, საკუთარი კუთხისთვის ტალახის სროლას არ ერიდება.*

ოზურგეთის მერის თქმით, ისინი საკრებულოში პოლიტიკურ ისტერიკაში ვარდებიან როცა გაზრდილ ბიუჯეტს და დაგეგმილ პროექტებს ხედავენ. რაც მეტი კეთდება, მით უფრო უბედურად გრძნობს თავს რადიკალური ოპოზიცია.

,,მინდა გამოვეხმაურო რადიკალურ ოპოზიციას ჩვენს საკრებულოში, რომელთაგან თითოეული, ნაცმოძრაობის საპარლამენტო სიაში მოსახვედრად ყველაფერს კადრულობს და საკუთარი ქალაქის, საკუთარი კუთხისთვის ტალახის სროლას არ ერიდება. რაც ჯერ ხელისუფლებაში ყოფნის დროს გააფუჭეს და გაფლანგეს, მერე კი ოპოზიციაში ყოფნისას სიმართლის და რეალობის გადაკეთებით, ცილისწამებით და დეზინფორმაციით ზიანი მიაყენეს ქვეყანას – ახლა უსინდისობით და უნიჭო ვიდეოჩართვებით უნდათ გადაფარონ. ოზურგეთში, ბოლო წლების განმავლობაში პირში წყალი ჰქონდათ ჩაგუბებული, რადგან საკმაოდ თბილად იყვნენ. არჩევნები პირწმინდად წააგეს და ყველაფერი რატომღაც მერე გაახსენდათ: იმ სიახლეების და პროექტების ფონზე, რაც უკვე განვა-ხორციელეთ, მაინც უტიფარი განც-ხადებებით გამოდიან და 2 წელ-იწადში ითხოვენ ჩვენგან იმ საქმის გაკეთებას, რისთვისაც ხალხმა მერი 4 წლით აირჩია. მოგიწევთ დაცდა და საკმაოდ დიდ ხანსაც, რადგან ხელისუფლებაში თქვენნაირი ანტიქართული და ანტიევროპული პარტია ვერასოდეს დაბრუნდება. რადიკალური ოპოზიციის წევრები ოზუ-რგეთში, ხან ჩვენს მიერ განახლებულ შენობებთან და ახლად დაგებულ გზებზე დგანან და ისტერიულად გვაკრიტიკებენ, რომ არაფერი გაკეთებულა; ხან საქართველოს ევროპული წარმატებების ფონზე, ევროპელობას გვიწუნებენ; ხან საკრებულოში პოლიტიკურ ისტერიკაში ვარდებიან როცა გაზრდილ ბიუჯეტს და დაგეგმილ პროექტებს ხედავენ. რაც მეტი კეთდება, მით უფრო უბედურად გრძნობს თავს რადიკალური ოპოზიცია. არ უნდა დაგვავიწყდეს ვისთან გვაქვს საქმე – გურიაში სტიქიამ რომ ჩაიარა, ბოტები ჩაიცვეს, პატარა ნაკადულში ჩადგნენ და იქედან აწონებდნენ თავს ერთმანეთს,“– განაცხადა ოზურგეთის მერმა, **ავთანდილ თალაკვაძემ.**

მერის თქმით, ოზურგეთში ორი წლის განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა და წინ კიდევ არაერთი მნიშვნელოვანი პროექტია.

– *რადიკალური ოპოზიცია რომელიც 11 წელია საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ მუშაობს, რა გასაკვირია რომ იგივეს აკეთებს ოზურგეთშიც? რაც მეტი კეთდება მით უფრო უბედურად გრძნობენ თავს. მივყვებით გეგმას – რაც იყო ჩვენს 8 პუნქტიან პროგრამაში – ყველაფერს თანმიმდევრულად გავაკეთებთ,“ –*

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მდინარეები ნაკადულის კალმახის ქვირითით გათევზიანდა

ალიონი. გურიის რეგიონში ახალი დაცული ტერიტორიის, გურიის ეროვნული პარკის შექმნასთან დაკავშირებით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და გურიის მხარის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის ინიციატივით, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მდინარეები „წითელი ნუსხის“ სახეობის ნაკადულის კალმახის 50 000 ქვირითით გათევზიანდა.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მდინარეების გათევზიანების პროცესში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე **ზაზა შოშიტაიშვილი,** გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის უფროსი **კარლო ამირგულაშვილი** და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი **დავით შარაშიძე** მონაწილეობდნენ.

ნაკადულის კალმახის ქვირითისა და ლარვის ველურ ბუნებაში გაშვება არის მეთოდი, რომელიც ხელს უწყობს მოწყვლადი სახეობის გამრავლებას და მაქსიმალურად ზრდის ბუნებრივად გამოჩეკის პროცესს.

ოზურგეთში მუნიციპალური ტრანსპორტი განახლდება

უახლოეს დღეებში ოზურგეთში 8 ახალი ავტობუსი ჩამოვა – ამის შესახებ ოზურგეთის მერმა, ავთანდილ თალაკვაძემ, მუნიციპალიტეტის მერიის 31 იანვრის გამართულ სხდომაზე განაცხადა.

,,ვასრულებთ ჩვენი 8 პუნქტიანი გეგმის კიდევ ერთ მნიშვნელოვან დაპირებას ტრანსპორტის განახლებასთან დაკავშირებით – უახლოეს დღეებში ოზურგეთში 8 ახალი ავტობუსები ჩამოვა და ჩვენს თანამოქალაქეებს კომფორტული, თანამედროვე ტრანსპორტით გადაადგილების საშუალება ექნებათ,“ – განაცხადა **ავთანდილ თალაკვაძემ.**

ლანჩხუთში მელიორაცია დამშრობი სისტემის მოწესრიგების სამუშაოებს წარმოებს

ალიონი. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში საქართველოს მელიორაცია დამშრობი სისტემის მოწესრიგების სამუშაოებს ახორციელებს.

სამუშაოები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** ,,საქართველოს მელიორაციის“ წარმომადგენელთან **თემურ ბარამიძესთან** ერთად დაათვალიერა.

როგორც თემურ ბარამიძემ აღნიშნა, ნატანი მასისა და ქვაღორღისგან 1, 7 კმ სიგრძის სადრენაჟე კოლექტორი იწმინდება.

სოფელ მაჩხვარეთში სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები მიმდინარეობს

სოფელ მაჩხვარეთში სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები აქტიურად მიმდინარეობს.

დაწყებულია დედათა მონასტერთან მისასვლელ გზაზე ნაპირსამაგრების მოწყობა.

ასევე მაჩხვარეთის ხიდდთან მიმდინარეობს გამაგრებითი სამუშაოები.

ჯამში პროექტის განსახორციელებლად 292 280 ლარი დაიხარჯება.

სამუშაოები ლანჩხუთის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძესთან** ერთად ადგილზე დაათვალიერა.

მშენებლობის ეტაპზე გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმის აღსრულება ჩვენი პრიორიტეტი იქნება

ინტერვიუ ბახვი ჰესის დირექტორთან, გიორგი აბრამიშვილთან

Bakhvi HPP

აქტიური და ნაყოფიერი 2023 წლის დასრულების შემდეგ ბახვი ჰესი ახალი, 2024 წლისთვის დიდი შემართებითა და ოპტიმიზმით ემზადება. განვლილმა წელმა კომპანიის წარმომადგენლებს კიდევ ერთხელ აჩვენა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია პროექტის განხორციელების პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური ჩართულობა და მათთან ყოველდღიური კომუნიკაცია. შესაბამისად, ისევე როგორც, პროექტის საწყისი ეტაპიდან მოყოლებული, 2024 წელსაც გამჭვირვალობა და მოსახლეობის წინაშე ანგარიშგება ბახვი ჰესის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი იქნება. ამასთან, როგორც კომპანიის დირექტორი, გიორგი აბრამიშვილი განმარტავს, წლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანი გარემოსდაცვითი სტანდარტების მაღალ დონეზე აღსრულებაა.

— ბატონო გიორგი, როგორ აფასებთ განვლილ 2023 წელს და რა არის კომპანიის 2024 წლის გეგმები, მიზნები?

— პირველ რიგში, მინდა ჩემს საყვარელ გურულებს ახალი წელი მივულოცო. ყველა თქვენგანს გისურვებთ, რომ 2024 წელი იყოს სიმშვიდისა და წარმატების მომტანი. რაც შეეხება ბახვი ჰესს, ის 2021 წლიდან აქტიურად ვითარდება. სამი წლის განმავლობაში ჩვენ თავდაუზოგავად ვიშრომეთ და დღეს უკვე მნიშვნ-ელოვან შედეგებზეც შეგვიძლია საუ-ბარი. აქტიურად და მაღალ დონეზე, გარემოსდაცვითი სტანდარტების სრ-ული დაცვით მიმდინარეობდა წინა-სამშენებლო, მოსამზადებელი სამუშ-აოები ახლა კი, წარმატებით დავიწყეთ მშენებლობის პროცესიც. ამის ნათელი დასტურია 2023 წელს სამშენებლო პერიმეტრზე გამართული მედია ტური, რომლის ფარგლებშიც ადგილობრივმა ჟურნალისტებმა საკუთარი თვალით ნახეს კომპანიის თავდაუზოგავი შრომის შედეგი. დარწმუნებულები ვართ, ადგილობრივი მოსახლეობის გვერდში დგომით ამ ეტაპზეც ისეთივე სიამაყით ვისაუბრებთ, როგორი სიამაყითაც ამ 2 წლის განმავლობაში მიმდინარე პროცესებზე ვსაუბრობთ. დიახ, უკან რომ ვიხედებით ვამაყობთ, როგორც თავად ბახვი ჰესის პროექტით, ასევე იმ სოციალური პროგრამებით, რომლის მთავარი მიზანი სამუშაოების განხორციელების არეალში მცხოვრები ადამიანებისთვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაა.

— სოციალური პროექტები ახსენეთ, რამდენად ნაყოფიერი იყო მათი განხორციელების თვალსაზრისით 2023 წელი?

— 2023 წელი სოციალური პროგრამების აღსრულების თვალსაზრისით საკმაოდ დატვირთული იყო. თითქმის, არ დარჩა არცერთი მიმართულება, რომელშიც ბახვი ჰესი ჩართული არ იყო. იქნებოდა ეს სოფლად ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, საგანმანათლებლო პროგრამების მხარდაჭერა, ტურიზმის წახალისება, თუ სხვა. მაგალითისთვის, უკვე თითქმის დასრულდა ჩვენთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და საამაყო პროექტი, კერძოდ ***ვანისქედში*** *წყლის სისტემის მოწესრიგება, რის მეშვეობითაც სოფელში მცხოვრებ 47 ოჯახს წყალზე წვდომა 24 საათიან რეჟიმში ექნება. ალბათ, ვიღაცისთვის წარმოუდგენელია, რომ 21-ე საუკუნეში ადამიანებს წყალზე წვდომა არ აქვთ, თუმცა ეს ნამდვილად იყო ვანისქედში არსებული რეალობა და ჩვენ ეს რეალობა წარსულს ჩავაბარეთ.*

საკმაოდ ნაყოფიერი და დატვირთული წელი გვქონდა, ჩვენი სოციალური პროგრამის განათლების კომპონენტის მიმართულებითაც. თითქმის ყოველი თვის განმავლობაში მთისპირისა და ჩხაკაურას საჯარო სკოლების მოსწავლეებისთვის არაერთ აქტივობას ვგეგმავდით, სპეციალურად მოწვეული სტუმრები ახალგაზრდებს საკუთარ გამოცდილებას უზიარებდნენ. ძალიან კარგად მახსენდება დედამიწის დღესთან დაკავშირებული კონკურსი, სადაც 81 მონაწილიდან 19 გამარჯვებული გამოვავლინეთ და საჩუქრად ბიბლუსის ვაუჩერები გადავეცით.

კვლავ ვაგრძელებთ შშმ პირების დახმარების პროგრამას, რადგან უმნიშვნელოვანესია, რომ ის სარგებელი, რომელიც რეგიონისთვის ბახვი ჰესს მოაქვს, თანაბრად იყოს გადანაწილებული საზოგადოების თითოეულ წევრზე.

— თქვენ ხშირად ამბობთ, რომ ბახვი ჰესისთვის გარემოსდაცვითი სტანდარტების მაღალ დონეზე შესრულება ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია. რა გამოწვევები და მიღწევები გქონდათ ამ მიმართულებით 2023 წელს?

— დიახ, ნამდვილად ასეა. გვჯერა, რომ ვერცერთი პროექტი ვერ გამოვა წარმატებული გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების მაღალ დონეზე შესრულების გარეშე და გვიხარია, რომ ჩვენ ამ თვალსაზრისით არამარტო რეგიონში, არამედ მთელი ქვეყნის მასშტაბით მოწინავეები ვართ. ჩვენი თითოეული პროექტი ესადგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდგრადი განვითარების კონკრეტულ მიზნებს, როგორიცაა მაგალითად, არა სიღარიბეს, ჯანმრთელობა და კეთილდღეობა, ხარისხიანი განათლება, სუფთა წყალი და სანიტარია, ხელმისაწვდომი და უსაფრთხო ენერგია, ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა.

აუცილებლად მინდა აღვნიშნო, რომ თითოეულ ამ პროცესს მონიტორინგს ჩვენი საერთაშორისო

პარტნიორები უწევენ. ამის ნათელი მაგალითია 2023 წელს გურიაში ჩვენი ინვესტორების მიერ მოვლენილი გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების კონსულტანტის, ***პიერ ბიდერმანის*** *ვიზიტი. მისი შეფასებით, სამუშაოები გეგმის მიხედვით მიმდინარეობს, თუმცა 2024 წელს მასშტაბის ზრდასთან ერთად, მოხდეს გარემოსდაცვითი ასპექტების მეტად წინ წამოწევა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება და ეს ასეც გვაქვს დაგეგმილი.*

— მოგვიყევით 2024 წლის გეგმებზეც

— 2024 წლიდან „ბახვი 1“ და „ბახვი 2“ ჰიდროელექტროსადგურების პროექტების მშენებლობა ფართომასშტაბიან რეჟიმში დაიწყება. ამ პროცესში ჩვენი პრიორიტეტი გარემოსდაცვითი შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება იქნება, იმ სამოქმედო გეგმის თანახმად, რომელიც გზშ-ს ეტაპზე საერთაშორისო ექსპერტებმა, ბრიტანელმა ***ნიკოლა ფოლკსმა*** *და ფრანგმა,* ***პიერ ბიდერმანმა*** *გაგვიწერეს. გარემოსდაცვითი ღონისძიებების მიმართულებით, ვიწყებთ კიდევ ერთ საამაყო და მასშტაბურ, ვიტყოდი საშვილიშვილო პროექტს, კერძოდ ტყის განაშენიანების. როგორც იცით, ჩვენი სამოქმედო გეგმა საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან და სტანდარტებთან შესაბამისობაშია გაკეთებული, თუმცა, ისიც უნდა ვთქვა, რომ რიგ შემთხვევებში სხვადასხვა ღონისძიების შემუშავების პროცესში, ჩვენ კეთილი ნებაც გამოვიჩინეთ. მაგალითად, ასე დავგეგმეთ ტყის განაშენიანების პროექტი, რომლის ფარგლებშიც ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე* ***60 ჰექტარი*** *ტყე გაშენდება. ვფიქრობ, არა მხოლოდ ჩვენ, არამედ მომავალი თაობებიც იამაყებენ ამ პროექტით. მაქსიმუმს გავაკეთებთ იმისთვის, რომ თქვენთან ერთად ავაშენოთ ჰესი, რომელიც თავის სიტყვას იტყვის როგორც ენერგოუსაფრთხოების, ასევე მაღალი გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების დამკვიდრების მიმართულებით.*

რატომ არ ხვდებიან საზოგადოებას კომპანია „პარვუს ჯგუფის“ ხელმძღვანელები?

2023 წლის 31 აგვისტოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დეპუტატმა გიორგი შილაკაძემ ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ კომპანია „პარვუს ჯგუფის“ მიერ, მდინარე ბჯუჟის ხეობაში სამი მცირე ჰესის მშენებლობის შესახებ დასვა კითხვა:

—კომპანია „პარვუს ჯგუფი“ მდინარე ბჯუჟის ხეობაში სამი მცირე ჰესის აგებას აპირებს, ისე, რომ საზოგადოებამ ამის შესახებ არაფერი არ იცის. რაღაც შეხვედრა კი ჩაუტარებიათ სოფელ გომში, მაგრამ მე შემოქმედელი კაცი ვარ და ამის შესახებ არ გამიგია. მე მშენებლობის წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ გვაინტერესებს, ვინ არიან ისინი, რა ლოკაციაზე აპირებენ ჰესის აშენებას. მათ უკვე ტყეში გზა გაჭყავთ,— მიმართა საკრებულოს **გიორგი შილაკაძემ.**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, **ლავრენტი ბიგვავას** თქმით, მათ შეეძლოთ კომპანია „პარვუს ჯგუფის“ ხელმძღვანელები საკრებულოს სხდომაზე, ან შესაბამისი დარგობლივი კომისიის სხდომაზე მოეწვიათ, კითხვები დასვათ და საკრებულოს დეპუტატებს კითხვებზე უნდა მიეღოთ პასუხი.

გიორგი შილაკაძემ ორი თვის შემდეგაც დასვა საკრებულოს სხდომაზე „პარვუს ჯგუფის“ ხელმძღვანელთან შეხვედრისა და მდინარე ბჟუჟის ხეობაში სამი მცირე ჰესის მშენებლობის გამო ინფორმაციის მიღების შესახებ, თუმცა „პარვუს ჯგუფის“ ხელმძღვანელთან ზურაბ ბესელიასთან შეხვედრა არ შემდგარა.

31 იანვარს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის დასასრულს დეპუტატმა **გიორგი შილაკაძემ** კვლავ დასვა შეკითხვა მდინარე ბჟუჟის ხეობაში ჰესების მშენებლობასთან დაკავშირებით.

— უკვე 5 თვეა საკრებულოს სხდომაზე ვაყენებ საკითხს „პარვუს ჯგუფის“ ხელმძღვანელთან შეხვედრის გამართვის თაობაზე. მას პასუხი უნდა გაეცა შეკითხვებისათვის, თუმცა დღემდე ეს ვერ მოხერხდა. მოსულიყო ეს ხალხი და ეთქვა, რას აშენებს, სად და რამდენს. რა მდგომარეობაა დღეისთვის 27 სექტემბერს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას მივმართე განცხადებით მოეცათ „პარვუს ჯგუფთან“ გაფორმებული მემორანდუმის ასლი, მაგრამ პასუხი არ მიგვიღია. აწი მშენებლობას დაამთავრებენ და შემდეგ მივიღებთ? — განაცხადა დეპუტატმა გიორგი შილაკაძემ.

—კი, ბატონო, როცა იქნება, ამ ჯგუფთან შეხვედრა, აუცილებლად შეგატყობინებთ, — უთხრა მას საკრებულოს თავმჯდომარემ, **დავით დარჩიამ.**

შილაკაძეს მერის პირველმა მოადგილე **გიორგი ღურჯუმელიძემ** უპასუხა, რომ იგი გადაამოწმებს, რატომ არ მიეწოდა დეპუტატს პასუხი და ამასთანავე ასეთი შეხვედრის წინაღმდეგი არ არიან.

საკრებულოს სხდომის დასრულების შემდეგ **ლავრენტი ბიგვავამ** ჟურნალისტებთან საუბრისას თქვა, რომ მათ მოიწვიეს „პარვუს ჯგუფის“ ხელმძღვანელი, თუმცა ჯერ-ჯერობით შეხვედრა არ შედგა.

„პარვუს ჯგუფის“ მიერ მდინარე ბჟუჟის ხეობაში სამი მცირე ჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით კითხვები დაგროვდა. კომპანია საზოგადოებას არანაირ ინფორმაციას არ აწვდის. რადგან მცირე სიმძლავრის ჰესებად არის დაყოფილი, „პარვუს ჯგუფს“ არც გეოლოგიური, ჰიდროლოგიური, ბიომრავალფეროვნების კვლება არ აქვთ ჩატარებული.

გაზეთ „ალიონს“ ბჟუჟის ხეობაში ჰესების მშენებლობასთან დაკავშირებით, თუ რატომ ირჩევენ კომპანიები 2 მგვტ-ზე ნაკლები სიმძლავრის კასკადური ტიპის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობას, გარემოსდაცვით ორგანიზაცია **„ეკომ“** მიაწოდა კომენტარი:

— ალბათ იმიტომ, რომ საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით ასეთი სიმძლავრის ჰესის პროექტებს არ სჭირდება გარემოსდაცვითი შეფასების პროცედურების გავლა, კვლევა ანუ არც ფული ეხარჯებათ, არც დავიდარაბა უწევთ ადგილობრივი თემებიდან .ჰოდა ასე ყოფენ, ანაწევრებენ, მოგებაზე ორიენტირებული სუბიექტები.

მას შემდეგ, რაც გავიგეთ რომ ოზურგეთში, კერძოდ სოფელ გომში, მდინარე ბჟუჟზე თურმე იგეგმებოდა სამი კასკადური ტიპის ჰესის მშენებლობისთვის სამუშაოები და ავტეხეთ ერთი ამბავი გამოჩნდა კომპანია „პარვუს ჯგუფი“. კომპანიას

გვ—6

სოფლის ცხოვრება

კომპანია ბახვი ჰესი – ჩვენ ვზრუნავთ ადამიანებზე, ბუნებასა და რეგიონის განვითარებაზე

ია ურუშაძე – „ვაკიჯვარს აქვს მეფუტკრეობის დიდი ტრადიცია, ადგილობრივი ცოდნა და უნარები, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა“

***ია ურუშაძე** - ჩემი მშ-ობლიური ქალაქი არის ოზურგეთი. დავამთავრე ნოდარ დუმბაძის სახელობის პირველი ქართული გიმნაზია და სწავლა გავაგრძელე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საერთაშორიო ურთიერთობების ფაკულტეტზე. 2011 წლიდან ვმუშაობორგანიზაციაში „მომავლის სხივი“, რომელიც არის ორი მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლის და მიტოვების რისკის ქვეს მყოფ ბავშვთა მომსახურების დღის ცენტრის მმართველი. ასევე, ვარ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ოზურგეთის ფილიალის თავმჯდომარე, და ბოლოს,მინდა გამოვყო პროექტი „ჩაის გზა“, სადაც დასაქმებული ვარ სტუმარ-მასპინძლობის მიმართულების მენეჯერის პოზიციაზე, რომელიც ჩემთვის სრულიად სხვა სფერო და ახალი გამოწვევა იყო.*

— ია, თქვენ მრავალმხრივ მუშაობას ეწევით, როგორ უთავსებთ ერთმანეთს საზოგადოებრივ დატვირთვას და სოფლის მეურნეობის კუთხით მუშაობას?

— არსებობს სამი მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომელიც მაძლევს ძალას, რომ ვიყო, როგორც თქვენ აღნიშნეთ, მრავალმხრივ დატვირთული და მუდამ აქტიური.

ეს არის ოჯახის, მეუღლის მხარდაჭერა, საქმისადმი სიყვარული და წარმატებისთვის ასე მნიშვნელოვანი, ორგანიზებულობა.

— გურიის რეგიონში ერთ-ერთი წარმატებული „ჩაის გზის“ პროექტია, რომელშიც თქვენ მენეჯერის ფუნქციას ასრულებთ. რა შედეგი მოიტანა ამ პროექტმა?

— პროექტი „ჩაის გზა“ , განხორციელდა USAID ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამასა და ბახვი ჰესის ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში. პროექტში, განხორციელების სტადიაზე ჩართული იყო ასევე, ეკოტურიზმის ასოციაცია. ჩვენი მიზანი იყო ერთი მხრივ, პოპულარიზაცია მოგვეხდინა გურული ჩაის ბრენდის, მეორეს მხრივ კი, გაგ-ვეძლიერებინა სტუმარ - მასპინძლობის კომპონენტი და შეგვექმნა „ჩაის გზის“ მარშრუტი, რომლის ფარგლებშიც მოქცეული სამოსახლოები აქ ჩამოსულ ტურისტს შესთავაზებდნენ დაეგემყარ გამოცდილებას.

უდიდესი პასუხისმგებლობით მინდა ვთქვა, რომ პროექტი „ჩაის გზა“, ჩვენი რეგიონის ეკონომიკურ თუ სოციალური განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

ამ პროექტის ფარგლებში, ჩვენ აღმოვაჩინეთ ადამიანები და თავის მხრივ, ამ ადამიანებმა აღმოაჩინეს საკუთარი თავები.

პროექტის შედეგად შერჩეულმა ბენეფიციარებმა განვითარეს საკუთარი შესაძლებლობები ბაზარზე შეიქმნა ტურისტული ლოკაციები, გაიზარდა გურიაში ადგილობრივი თუ უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა.

—ყოველწლიურად შავიზღვისპირეთში იმართება აგრო-ტურისტული გამოფენა-გაყიდვები, რაც თანდათან უფრო მეტ მნახველს იტენს. რამდენად მნიშვნელოვანია ასეთი ტიპის აქტივობები მეწარმისთვის?

— პირველ რიგში უნდა შევეხოთ აგრო-ტურისტული გამოფენების ძალიან მნიშვნელოვან როლს, რომელსაც რამდენიმე მიზეზი აქვს.

გამოფენის ფარგლებში მწარმოებლებს შეუძლიათ სტუმრებს გააცნონ საკუთარი პროდუქცია თუ მომსახურება, ასევე გაიზიარონ ცოდნა და გამოცდილება, სხვისგანაც მიიღონ რჩევები, როგორც სოფლის მეურნეების, ასევე ტურიზმის მიმართულებით.

გამოფენები ხელს უწყობს სოფლის განვითარებას, მეწარმის თუ ფერმერის ინფორმირებულობას, და შემოსავლის ზრდის ფუნქციაც გაჩნია.

გამოფენების დროს ხდება ადამიანების დახლოება, მოცეულ გამოფენებს კულტურულ - სგანმანთლებლო დატვირთვაც აქვს, როგორც ზემოთ აღვნიშნე. მაგალითად, ჩვენ გასვლითი გამოფენებიც გვქონდა, ვიყავით კახეთში, ასევე იმერეთში. გავეცანით იქაური ფერმერებისა თუ მეწარმეების გამოწვევებსა და იმ მეთოდებს, რომლითაც უმკლავდებიან სირთულეებს. საინტერესო იყო მათი მიდგომები ჩვენთვის და ჩვენი ხედვები და მეთოდები მათთვის.

ამ გამოცდილებიდან გამომდინარე, შეიძლია ვთქვა, რომ აგროტურისტული ფესტივალის ჩატარება მნიშვნელოვანია ჩვენთვის, მეწარმეებისთვის. თუმცა აქ ვიტყოდი, რომ რეგიონისთვისაც საინტერესოა ასეთი ტიპის ღონისძიებების მასპინძლობა. მსგავსი აქტივობების წარმატებით ჩატა-რების ერთ-ერთი მთავარი პირობაა მხარდაჭერა, აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო მეწარმეთა სახელით ასოციაცია „ჩაის გზას“, ადგილობრივ მუნიციპალიტეტსა და ბახვი ჰესს, რომლებიც ხელს უწყობენ აღნიშნული ფესტივალის ყოველწლიურად ჩატარების ტრადიციის შენარჩუნებას.

—ამ გამოფენებზე თქვენ როგორც მეწარმე, მეფუტკრე მონაწილეობთ და ფართო საზოგადოებას აცნობთ თქვენს მიერ წარმოებულ თაფლს. რას ურჩევდით დამწყებ მეფუტკრეების წარმატების მისაღწევად?

— წარმატება მოდის მაშინ, როცა აკეთებ იმ საქმეს, რომელიც მთელი გულით გიყვარს. აგრობიზნესი არ არის მარტივი, განსაკუთრებით ქა-ლებისთვის. თუმცა შედეგი ბრძოლად ღირს. დამიჯერეთ, თუკი შეიყვარეთ თქვენს საქმეს და შეუდრეკელად იბრძოლეთ მიზნის მისაღწევად, ყველაფერს შეძლებთ. არ შეგეშინდეთ დაცემის, რადგან ეს დაცემა ფეხზე წამოდგომის და უფრო მყარად წი-ნსვლის სასწავლებლად უნდა გამო-ყენოთ. ყოველთვის უთხარით საკ-უთარ თავს, რომ „შენ ამას შეძლებ“.

—სოფელ ვაკიჯვარში მეფუტკრეობა სოფლის მეურნეობის მთავარი წამყვანი დარგია. რა განა-პირობებს ამას, მარტო ბუნებრივი პირობები თუ მეფუტკრეობის განსაკუთრებული ტრადიციები?

— ვაკიჯვარი მართლაც, რომ ძალიან კარგი ადგილია მეფუტკრეობისთვის. მას აქვს მდიდარი და მრავალფეროვანი ფლორა, ვაკიჯვარს აქვს ხელსაყრელი კლიმატიც. ეს პირობები მეფუტკრეობის განვითარებას უწყობს ხელს და მაღალი ხარისხის თაფლის წარმოების საშულებას იძლევა.

ასევე შეიძლება ითქვას, რომ ვაკიჯვარს აქვს მეფუტკრეობის დიდი ტრადიცია, ადგილობრივი ცოდნა და უნარები, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა.

—თქვენ როგორ ფიქრობთ, როგორ უნდა დავიცვათ ფუტკარი?

— ფუტკრის დაცვა არის ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი კაცობრიობის არსებობისთვის. ბიომრავალფეროვნება ადამიანის კეთილდღეობასთან მჭიდრო კავშირშია, შესაბამისად რადგან ფუტკარი აუცილებელია აგრო-კულტურებისა თუ მცენარეებისდამტვერვისათვის, ჩვენ უნდა შეეძლოთ დავიცვათ გარემო რათა ბუნებამაც გაგრძელოს ჩვენს სასარგებლოდ ფუნქციონირება. თითოეულ ჩვენგანს შეუძლია შეებრძოლოს ამ გამოწ-ვევას. მაგალითად, ჩვენ უნდა ვიზ-რუნოთ, რომ ფუტკარს ჰქონდეს შესაფერისი გარემო, აუცილებელია ბუჩქების, ხეების, ყვავილების დარგვა; უარი უნდა ვთქვათ პესტიციდებზე, რაც ვიცით რომ ზიანს აყენებს ფუტკარს; აუცილებელია სუფთა წყლის უზრუნველყოფა; ადგილობრივ მეფუტკრეობას მხარი უნდა დაუჭიროს, როგორც ხელისუფლებამ, ასევე მოსახლეობამ, შეიძინონ პროდუქცია, ორგანული თაფლი თუ ცვილი; ასევე, ბევრი უნდა ვისაუბროთ და ვასწავლოთ გარშ-ემომყოფებს, თუ რამდენად მნიშვნ-ელოვანია ფუტკრის არსებობა და მისი როლი, რათა დავიცვათ ის გა-დაშენებისგან.

— თქვენი აზრით რა გავლენას ახდენს მეფუტკრეობაზე ინფრასტრუქტურის განვითარება, გურიაში დაგეგმილი მცირე და საშუალო ჰესების მშენებლობა?

— დღესდღეობით ძალიან ბევრს საუბრობენ ენერგოდამოუკიდებლობაზე, რომელიც თავის მხრივ მოიაზრებს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტის მშენებ-ლობას, მათ შორის დიდთუ მცირე ჰესებს. მე ვთვლი, რომ ეს აუცილებელია ქვეყნის, რეგიონების განვი-თარებისთვისა და წინსვლისთვის. თუმცა, ასევე, უაღრესად მნიშ-ვნელოვანია კეთილსინდისიერად აშენებული პროექტები,რაც თავის-მხრივ, ნიშნავს მაღალკ-ვალიფი-ციური კვლევების ჩატარებას, ჰიდ-როენერგეტიკისა და ინფრასტრუქტურული პროექტების პოტენციური ზემოქმედების შეფასებას, რო-გორც ამ შემთხვევაში მეფუტკრეობაზე, ისე ზოგადად მოლიან გარემოზე და შემარბი-ლებელი ღონისძ-იებების კეთილსინდისიერად განხოციელებას.

— ხომ არ გაგვიზიარებდით ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის წარმოების თქვენს რეცეპტს?

— პროფესიონალიზმი და კეთილსინდისიერება. ეს უნდა იყოს ყოველი მეფუტკრისთვის პრიორიტეტული.

პროფესიონალიზმი მოითხოვს გარკვეულ ცოდნას, უნარებს და აღჭურვილობას. ყოველთვის უნდა ვეცნობოდეთ რეგულაციებს, ვიძენდეთ ახალ ცოდნას და უნარებს. კეთილსინდისიერება კი, გვაძევს ძალას, რომ არასოდეს ვუღალატოთ ჩვენს საქმეს და მომხმარებელს.

ნუგზარ ასათიანი

წარმატებული ფერმერები გურიიდან – მაგალითი როგორ დავძლიოთ სიღარიბე „ინფორმირებულობიდან კეთილდღეობამდე“

ჩოხატაურში შშმ პირების მშობლებისა და მოზარდებისთვის თერაპიული პროგრამის მეორე ეტაპი იწყება

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე არასრულწლოვანი პირების მშობლებისთვის და ასევე განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მოზარდებისთვის სპეციალური თერაპიული პროგრამის მეორე ეტაპი იწყება. მოცემული პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სეანსები სტარტს მიმდინარე წლის თებერვლიდან აიღებს. სამიზნე ჯგუფში გაერთიანდება 50 ბენეფიციარი, მათ შორის 25 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზარდი და 25 მშობელი. შეხვედრები თვეში ერთხელ, ჩოხატაურში 3 საათის განმავლობაში ჩატარდება.

„პროექტის ფარგლებში გაგრძელდება ჯგუფური თერაპია უკვე არსებული წევრებისთვის და მათ დაემატებიან ახალი ბენეფიციარებიც. ჯგუფი დაიყოფა ორ ნაწილად და თვეში ერთხელ 3 საათიანი შეხვედრა ჩატარდება. ასევე, გვემატება ახალი მიმართულებაც, კერძოდ, სპეციალისტის მიერ შშმ ბავშვების ინდივიდუალური შეფასება და საჭიროებიდან გამომდინარე მათთან ინდივიდუალური, ან ჯგუფური მუშაობა. სპეციალისტი ყველა ბავშვის მშობელს პერსონალურად ასწავლის თავის შვილებთან საჭირო მიდგომებს, ვინაიდან ამ შემთხვევაში მშობლის როლი ბავშვის განვითარებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია.

აუცილებლად უნდა აღვნიშნო ერთი ფაქტი, კლუბის წევრი დედები იმდენად გაძლიერდნენ, რომ მზად არიან აღნიშნულ თემებსა და გამოწვევებზე ღიად ისაუბრონ. ეს სწორედ ამ პროექტის დამსახურებაა. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო პროცესში ჩართულ ყველა მხარეს, მათ შორის ბახვი ჰესს, რომელიც თერაპიულ პროგრამას კვლავ დაფინანსებს. მიღწეული წარმატება და დადებითი შედეგები სწორედ ერთიანი სულისკვეთების შედეგია“, — განაცხადა ორგანიზაცია „ქალები ქალებისთვის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელმა და აღნიშნული პროექტის მენეჯერმა, **მაკა შანიძემ.**

„პროექტი გრძელდება კიდევ ერთი წლით. ეს არის უდიდესი შესაძლებლობა და რესურსი თითოეული მონაწილისთვის, რომ მიიღონ კიდევ უფრო მეტი თერაპიული მხარდაჭერა, აღმოაჩინონ საკუთარ თავში არსებული რესურსები, გაა-ძლიერონ ის საყრდენი, რომელიც ერთად აღმოვაჩინეთ. რაც მთავარია, ეს არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იმისკენ, რომ ეს ადამიანები გახდნენ დამოუკიდებლები და თავიანთი სიძლიერიდან გამომდინარე შეუქმნან წარმატებული მომავალი, როგორც საკუთარ თავს, ასევე შვილებს“, — განაცხადა კურსის მოწვეულმა ფსიქოლოგმა, **ნინო კერესელიძემ. პ**

პროექტ „შშმ პირთა მშობელთა კლუბის“ განხორციელება 2023 წლის მარტიდან დაიწყო და ის 2024 წლის იანვარში დასრულდა. შეხვედრები თვის განმავლობაში ორჯერ ტარდებოდა. კურსის პირველი ეტაპის სამიზნე აუდიტორიას ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფელში მცხოვრები 35 არასრულწლოვანი შშმ პირის მშობელი წარმოადგენდა. პროექტის ინიციატორი და ორგანიზატორი არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალები ქალებისთვისაა“, მხარდამჭერი კომპანია ბახვი ჰესი, რომელიც მოცემულ ინიციატივას აფინანსებს, პარტნიორი კი, ადგილობრივი თვითმმართველობა, რომელიც მონაწილე პირების ტრანსპორტირებას უზრუნველჰყოფს.

პროექტის პირველი ეტაპის დასკვნითი ღონისძიება 2024 წლის 27 იანვარს ჩოხატაურში გაიმართა. შეხვედრაზე შეჯამდა კურსის გასული წლის შედეგები დასასრულს კი, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებისა და სამუსიკო სკოლის მოსწავლეების ერთობლივი კონცერტი ჩატარდა. ღონისძიებას ბენეფიციარებთან ერთად ესწრებოდნენ ადგილობრივი თვითმმართველობისა და კომპანია ბახვი ჰესის წარმომადგენლები. ასევე, პროექტის ფარგლებში მოწვეული ფსიქოლოგი, **ნინო კერესელიძე** და **ნინო კვირიკაშვილი.**

e

ილია და ორი ძმა თოიძე

მოსე თოიძე

„მატიანეს“ კალენდრით 1894 წლის 14 თებერვალია, ილია იღებს წერილს, რომლის საშუალებითაც ავტორი „სთხოვს ფულად დახმარებას, რათა გამოსცეს, ლითოგრაფიულად, ქართველ ისტორიულ პირთა პორტრეტები: თამარ მეფის, ერეკლე მეორის, დავით აღმაშენებლის, შოთა რუსთაველის და ქეთევან დედოფლისა.

წერილის ავტორია, იმხანად ჯერ კიდევ უცნობი **მოსე თოიძე.** რაც შეეხება თავად წერილს, მისი გაცნობა საქართველოს სსრკ კულტურის სამინისტროს ყოველთვიურ ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ 1987 წლის მეექვსე ნომერში შეიძლება.

ამავე ნომერში, ჩემი კოლეგის, დავით შუღლიაშვილის პაპის, ასევე **დავით შუღლიაშვილის,** მეტად საინტერესო წერილსაც („ილია ჭავჭავაძის იკონოგრაფიული ფონდი ლიტერატურულ მუზეუმში“) წაიკითხავს დაინტერესებული მკითხველი, რამდენადაც ერთი მცირე ნაწილი, მუზეუმში დაცულ მოსე თოიძის იკონოგრაფიასაც ეხება.

წერილში ვკითხულობთ: „*საყურადღებოა მხატვარ მოსე თოიძის მიერ შესრულებული კომპოზიციური სურათები:* „ილია სიტყვას ამბობს ნ. ბარათაშვილის *გადმოსვენებაზე*“ (7828); „ილია კითხულობს გაზეთ „ივერიას“ (8004-ი).“

აქვე მინდა აღვნიშნო, ჟურნალის 22-ე გვერდზე განთავსებული უნიკალური ფოტო: „ილიაობა“ საგურამოში 1896 წ. 26 ივლისი,“ წერილის ორგანული ნაწილია, რაც შეეხება აღწერით ნაწილს, საუკეთესო ნიმუშად უნდა მივიჩნიოთ, თუმცა აქ მხოლოდ ფინალს მოვიხმობ: „*ამ დროს არის გადაღებული ილია სტუმრებთან კაკლის ქვეშ გაშლილ მაგიდასთან და თავისი სახლის ეზოში, აუზთან.*“

წინასწარ გეტყვით, წერილში ნახსენებ „კაკლის ხეს“ ჩვენ კიდევ ერთხელ შევხვდებით, თუმცა, მანამდე, ხსენებულ ჟურნალში განთავსებულ კიდევ ერთ წერილს გაგაცნობთ. წერილის ავტორი **შალვა მარკოზაშვილი** გახლავთ:

1894 წელს, 14 თებერვალს ახალბედა მხატვარი მოსე თოიძე ჩვენი ერის საამაყო ილია ჭავჭავაძეს წერდა: „*მოწყალეო ხელმწიფევ! არ იუცხოვოთ ჩემი თქვენდამი წერილი. მე, თუმც პირადათ, დაახლოებით არა ვარ გაცნობილი თქვენთან, მაგრამ მაინც კარგად გიცნობთ და საქმესაც მის გვარად ვიჭერ. მე დავხატე ლითოგრაფიის ქაზე ხუთი სურათი: თამარისა, ირაკლისა, შოთასი, დავით აღმაშენებელისა და ქეთევან დედოფალის შეხამებული ქართულის მორალებით, წარწერითა და ციხე-კოშკებით.*

ოდენობით სიგრძით ერთი არშინია და სიგანით 3/4 არშინი, რომელიც უნდა დაიბეჭდოს ბრისტოლის კარდონზე 3000 ცალი. ამისთვის საჭირო არის ქაღალდი სულ 8 თუმნისა. მე არა მაქვს ეს რვა თუმანი, რომ გამოვცე... მე ვთხოვთ ეხლა, რომ გამიმართოთ ხელი მასესხოთ იმ პირობით, რომ პირველად თქვენ ჩაიბაროთ თქვენი რვა თუმანი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებიდან, ამის ხელწერილს მოგართმევთ, რომ მე კაპიკის გამოტანა არ შემეძლოს, სანამ თქვენ არ მიიღებთ.

ასე ჩემო მფარველო, თქვენი ღრმად პატივისმცემელი მოსე ხვალ გეახლებით პასუხის შესატობად ცხრა საათიდან ათამდე.“

ამ წერილის ავტორი, ნიჭიერი მხატვარი მოსე თოიძე იმხანად ოცდაორი წლისაც არ იყო, აპირებდა სამხატვრო აკადემიაში წასვლას და მოუხდავად იმისა, რომ ოჯახური პირობები ხელს არ უწყობდა, მაინც იმედიანი თვალით ჭვრეტდა ნათელ მომავალს.

ახალბედა მხატვრის ილიასადმი გაგზავნილი პირველი წერილის შესახებ მოსეს ვაჟი, ცნობილი მხატვარი **ირაკლი თოიძე** იგონებს:

რაც თავი მახსოვს, მამაჩემი ილია ჭავჭავაძის ღვაწლის დამფასებელი იყო. ჩვენი ერის ღირსეული შვილების სახელებთან ერთად განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით ახსენებდა ილიას და ზოგჯერ თუ ვინმე მასთან შეეცდებოდა დიდი მწერლის შესახებ ურიგო სიტყვა ეთქვა, ბუნებით წყნარი მამა აღელდებოდა და მაშინვე სათანადო არგუმენტების მოშველიებით გაამტყუნებდა მოწინააღმდეგეს.

მე დიდად მაინტერესებდა, გაუმართა თუ არა ი. ჭავჭავაძემ ხელი მამას და ამის შესახებ ვესაუბრე მას მამამ მაშინვე სიამოვნებით მიპასუხა:

დიდი ილია ფრიად კმაყოფილი დარჩა ჩემი ნამუშევრებით. შემაქო კიდეც და არა მარტო 1894 წელს, სხვა დროსაც გაუწევია ჩემთვის დახმარება მამას ოჯახში ახლობლებთან არაერთხელ უთქვამს: „ილია და დავით სარაჯიშვილისთანა მზრუნველები რომ არ გვყოლოდა ხელოვნების ახალგაზრდა მოყვარულებს, სასურველ მიზანს ვერ მივაღწევდითო.“

მოდით, ბატონი შალვას, წერილი აქ დროებით შევწყვიტოთ და „საგურამოს ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის შრომების“ 1958 წლის, 1 ტომის, 96-ე გვერდზე გადავფურცლოთ:

რატიშვილი ვასტანგ ნიკოლოზის-ძე 79 წ. მცხეთის რაიონი.სოფ. ქსოვრისის მცხოვრები.

მამაჩემი ნიკოლოზი. ძალიან დაახლოებული იყო ილიასთან. ჩემი ძმა მიხეილი, რომელსაც შინაურულად მიშოს ვეძახდით, ილასთან მუშაობდა თბილისში სათავადაზნაურო ბანკში ბუხჰალტრად.

ილია მეტად ტკბილი კაცი იყო. იცოდა გაჭირვებულების და ავადმყოფების დახმარება. ჩვენმა მიშომ მოსკოვიც ინახულა ილიას დახმარებით.

მახსოვს ილია მიშოს ქორწილში იყო სოფ. ქსოვრისში. მე 15 წლის ბიჭი ვიყავი მაშინ ქორწილში ილია მამამ დაპატიჟა. ილია ქორწილში დილით მოვიდა თავისი „ფაეტონით“ და საღამოს წავიდა. ხელში პატარა ჩემოდანი ეკავა. არ მახსოვს რა საჩუქარი მართვა ილიამ პატარძალს, მრავალი სტუმარი გვყავდა დაპატიჟებული ქორწილში.

მამაჩემს ილიამ თავისი სურათიც უძღვნა, რომელსაც მამა ძალიან უფრთხილდებოდა. ის სურათი ახლაც გვაქვს". ჩვენ ილიას მეორე სურათიც გვაქვს. იმ სურათში ილია სათავადაზნაურო ბანკის თანამშრომლებთან არის. ჩვენი მიშოც მასთანაა. ის სურათი ახლა ჩემი უმცროსი ძმის ოჯახშია ქ. თბილისში“.

„მოგონება“, რომელიც სულ ახლახან წაიკითხეთ, სწორედ რომ ბატონმა შალვამ (ამ დროს იგი საგურამოს ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის ექსკურსიამძღოლია) ჩაიწერა, თან შენიშვნაც დაურთო:

ილიას სურათი, რომელიც ნიკოლოზ რატიშვილისათვის მიუძღვნია, არის ვახტანგ რატიშვილის ოჯახში. სურათი საკმაოდ მოძველებული და გაყვითლებულია, მას აწერია: 1895 წელი. მოსე თოიძე. თბილისი, ლითოგრაფია დემეროვისა. სურათი უშნო ჩარჩოშია მოთავსებული. ილიას უჩარჩოდ უსახსოვრებია იგი. სურათს დაბლა მოზრდილი ასოებით აწერია: თავადი ილია ჭავჭავაძე.

დარწმუნებული ვარ, თქვენც ჩემსავით მოგინდათ ამ სურათის ნახვა, თუნდ „უშნო ჩარჩოში“ და თუნდაც უჩარჩოოდ, მაგრამ არაფერი გამოვა, სხვა დროისთვის უნდა გადავდოთ და ბატონ შალვას წერილს მივუბრუნდეთ:

როგორც ბარბარე როსტომაშვილი იგონებს, მისი მამა, ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოაზრე ივანე როსტომაშვილი, დაახლოებული ყოფილა მოსე თოიძესთან. მეგობრები რამდენიმეჯერ ყოფილან ერთად ჩვენი ქვეყნის ისტორიული ძეგლების დასათვალიერებლად, რელიგიურ დღესასწაულს „მცხეთობასაც“ ერთად დასწრებიან. იქ ივანეს თავისი ბროშურა-წიგნაკები გაუვრცელებია, ქაღალდ-ფანქრით მომარჯვებულ მოსეს კი მისთვის საინტერესო ჩანახატები შეუსრულებია.

ერთ წელს მეგობრები ერთად ყოფილან საგურამოში და დასწრებიან დიდი მწერლის ტრადიციულ დღესასწაულს — ილიაობას, მოსეს სხვადასხვა კუთხით ოსტატურად შეუსრულებია ჩანახატები და ილიას მოწონებაც დაუმსახურებია. ალექსანდრა და ირაკლი თოიძეების მოგონებით, მათ მამას დიდი ილია იდეალად ჰყვდა წარმოდგენილი, უყვარდა მის შესახებ საუბარი, სათუთად და განსაკუთრებული სიყვარულით გადაჰქონდა ტილოზე ერის სამყო შვილის კეთილი სახე.

ილიას სიცოცხლის უკანასკნელ წლებში იგონებენ და-ძმა **ალექსანდრა** და **ირაკლი თოიძეები,** — *საგურამოში, ბებერი კაკლის ხესთან და წყაროსთან, სადაც დიდ მწერალს უყვარდა ფიქრი და დასვენება, მამა შედგომია ნატურიდან ილიას ხატვას, მაგრამ იმ ხანებში ილიას ხშირად რუსეთში უხდებოდა ყოფნა, დროდადრო ავადმყოფობდა კიდეც და მხატვარმა ვერ შეძლო მოზრდილ ტილოზე ნახატის დასრულება.* (მ. თოიძის დაუმთავრებელი სურათი „ილია ჭავჭავაძე კაკლის ხესთან“ ინახება ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში საგურამოში).

ნიჭიერი მხატვრის ნამუშევრებიდან დამთვალიერებლის ინტერესს იწვევს სურათი: „ილია კითხულობს „ივერიას“.

ახლა, კიდევ სამი ამბავი და გრიგოლ თოიძის მართლაც და საგმირო საქმეებს გაგახსენებთ.

ყველა ეს ამბავი „საქართველოს პროსოპოგრაფიიდან“ უნდა შევთავაზო გაზეთ „ალიონის“ მკითხველებს:(**https://prosopography.iliauni.edu.ge/persons/13-mose-ivanes-dze-toidze).**

1898 წელს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მეცხრამეტე სხდომაზე გამგეობას თხოვნით მიმართა მოსე თოიძემ, რომ მისგან შეეძინათ ქართველი მწერლების სურათები, რაზედაც გამგეობამ უარი განაცხადა.

1898 წლის 12 ივნისს გაიმართულ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მეცხრამეტე სხდომას ესწრებოდნენ: ილია ჭავჭავაძე, დავით კარიჭაშვილი, ნიკოლოზ ცხვედაძე, ეკატერინე თარხნიშვილი-გაბაშვილისა, იაკობ გოგებაშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, ივანე ზურაბიშვილი, გიორგი იოსელიანი და კიტა აბაშიძე. სხდომაზე ნაქარია გრიქუროვს წიგნების ანგარიშში გადასცეს 32.80 მანეთი, მოსე თოიძეს — 56.88, სერგეი მელკუროვს — 36, ივანე რატიშვილს წინარეხში წასასვლელად — 7 და გრიგოლ ყიფშიძეს თიანეთში წასასვლელად — 12 მან. გამგეობამ გადაიხადა საზოგადოების სხვადასხვა ხარჯიც, რამაც სულ 227.87 მანეთი შეადგინა.

1908 წლის 9 აპრილის სხდომაზე განიხილეს ილია ჭავჭავაძის ძეგლის იაკობ ნიკოლაძისეული მოდელი და ძეგლის დადგმის საკითხი. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრებიდან კრებას ესწრებოდნენ თავმჯდომარის მოადგილე იაკობ ღულაძე და გამგეობის წევრები: ლუარსაბ ბოცვაძე, დავით კარიჭაშვილი, პეტრე სურგულაძე, გრიგოლ რცხილაძე, სამსონ ფირცხალავა; კაზმულ ხელოვნებათა წამახალისებელი კავკასიის საზოგადოების მხრიდან – მხატვართა კომისიის წევრები: გიგო გაბაშვილი, მ. კ. ფრანკე, ბორის ფოგელი, ოსკარ შმერლინგი, ელიშე თათევოსიანი, მოსე თოიძე, ჰენრიკ ჰრინევსკი, ალექსანდრე მრევლიშვილი და არქიტექტორი სვიმონ კლდიაშვილი.

“„მატიანეს“ კალენდრით 1897 წლის 2 მარტია და „გაზეთ „ცნობის ფურცელში“ იბეჭდება გრიგოლ თოიძის წერილი, რომელშიც წამოჭრილია ილია ჭავჭავაძის სახელობის ფონდის დაარსების საკითხი:

https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/26659/1/Cnobis_Furceli_1897_N130.pdf

თავ. ილია ჭავჭავაძის იუბილეის გამო.

ბ-ნო რედაქტორო! თქვენს პატივცემულს გაზ. „ცნობის ფურცელ“-ში დაიბეჭდა რამდენიმე წერილი თ. ილიას იუბილეის გამო, რომელთა შესახებ ყველამ თავისი აზრი წარმოსთქვა, მაგრამ ჩვენ მაინც ვერც ერთს ვერ ვეთანხმებით.

დავანებოთ თავი გარეგნობას და ცაზედ ვარსკვლავების პოტინს, დღევანდელს ჩვენს ყოფა-ცხოვრებას და მის წინ-სვლას არსებითი საგანი უფრო შეეფერება და დაწინაურებს კიდეც... დავანებოთ თავი დეპეშებს, დაფნის, ვერცხლის და ცოცხალ ყვავილებით შეკრულ გვირგვინებს, დეპუტატების წარგზავნას, ადრესების ბეჭდვას, ნობათებს და საჩუქრებს... ბევრად უმჯობესია მათზედ დასახარჯათ გამეტებული ფული სხვა რამ სასარგებლო საქმეს მოვახმაროთ და მაშინ ილიას აუზიც აიმსება, ოთხსიც გამოიღვიძებს და დედათა სასწავლებელიც ელირსება დაარსებას.

დღესასწაული და მისი დიადი მნიშვნელობა ყველას ყურს და გულს მისაწდომი უნდა გახდეს; მაშასადამე საერო მნიშვნელობა უნდა მიეცეს, უნდა ვიდღესასწაულოდ ყველამ, განურჩევლად წოდებისა და ხარისხისა, სოფლებმა, დაბებმა და ქალაქებმა საეროვნო საშუალებით: ეკლესიით და თეატრით, სადაც ყველასთვის ადვილია დასწრება და დღესასწაულიც.

ვინც ან ერთს, ან მეორეს და ან ორივეს მიკლებულია, მათ შეუძლიანთ საერთო მეგლისით გადაიხადონ ზემო ხსენებული დღესასწაული აღნიშნულ დღეს.

მაინც ყოველნაირად გარდასახდს დღესასწაულს სარჩულად წვლილის შეკრება უნდა ედოს, საერთო მეგლისით იქნება იგი, თეატრში წარმოდგენით, თუ ეკლესიაში პარაკლისის გარდახდით.

ამისათვის, საჭიროა შესდგეს ერთადერთი კომიტეტი დედა ქალაქ ტფილისში — სადაც ბრძანდება იუბილარი, კომიტეტმა ეხლავე უნდა შეიმუშავოს წესრიგი ხალხში მუქთად გასავრცელებლად; დამზადდეს დროისით ილიას სურათები, ბიოგრაფიები სურათითვე, პატარ-პატარა წიგნაკები ილიასავე თხზულებათაგან, სურათები და ჟეტონები, მცირე ფასად გასავრცელებელი.

ამ გამოცემათა შემოსავალს მიემატება საქართველოს ყოველ კუთხიდან და იქიდანაც-კი, სადაც ქართველები სცხოვრობენ, გამოგზავნილი წვლილი და გარდაეცემა თვითვე იუბილარს. და, მან თავის ორმოცის წლის ნათლით შემოსილი მოღვაწეობა დაგვირგვინოს თავისვანვე კეთილ გზაზედ თანამგრძნობ და პატივისმცემელ მოძმეთა დახმარებით ისე, როგორც თვითონ ჰსურს!

პატივცემული მამა-მოღვაწე, რომელმაც მთელი ორმოცი წელიწადი გვზარდა და დაგვაჟკაცა, ეხლა აგვიგებს ძეგლს ძმობა — ერთობისას და მით წარმოვთქმევინებთ იმედებით სავსე ბაგეთა: „სამშობლოვ, საყვარელო, ეხლა-კი აღყავდეი!“ ორმოცის წლის მოღვაწეობა, საერო საქმეში, მრავალ ავ-კარგის გამოცდილება ამდენის ხნის განმავლობაში საერო კეთილ დღეობის. თვის, დიადი სიყვარული მამულისამი, ღრმა ჭკუა და ბრწყინვალე ნიჭი პატივცემულ ილიასი, სრული თავდებია საქმის სასურველ ნაადგზედ დამყარებისა, თორემ, თუ ჩვენი მოგვენდო თანხის დანიშნულების არჩევა: ერთნი ვიტყვით: „დედათა სასწავლებელიო, დედები გვჭირიაო, დედებზეა დამოკიდებული ჩვენი მომავალი ბედიბალიო“... მეორენი: „მოზარდი განათლებული ყმაწვილ-კაცობა გვჭირიაო, მათზეა დამოკიდეული ჩვენი მომავალიო“ და სხვა-დასხვა...

ნეტავი ვინმე ამიხსნიდეს: რითა ვართ სრული და ან რა აღარ გვჭირია?!

ამ რთულის კითხვის ახსნა ისევ ილიას მივანდოთ და ჩვენ-კი, შეძლებისადაგვარად, ხელი შევუწყოთ მის წმინდა წადილს. ილია ჩვეულებრივ ჩვენზე უკეთ გასჯის და გადაწყვეტს და დარწმუნებული ვარ, რომ ამაზედ უკეთესი პატივისცემა ილიასადმი სხვა არა იქნება რა...

ჩვენ ბევრი ფონდები გვაქვს და ერთადაც კი არ ღირს; საქმე დავიწყებთ, ავლაპარაკდებით, ჩვენი საერთო საქმე ბურბუშელასავით ანთება-აბრიალდება და ისევ ჩქარა ჩაქრება ხოლმე... ახლა სხვა რაღაც გაგვიხდება სალაპარაკო საზრუნავად და პირველს კი მალე ვივიწყებთ ხოლმე. ეს არის მიზეზი, რომ ვერც ერთს ჩვენს ფონდს შესაფერი ბოლო ვერ მოვადევნეთ, ფული შეკრებილია და მისი სიცოტავის გამო არა კეთდება-რა.

ამიტომ, ასეთი არა სასურველი საქმე რომ არ დაემართოს ილიას ფონდსა, სასურველია და მართებულიც, რომ, რამდენათაც შესაძლებელია, გარეგნობის ხარჯი შემცირდეს, ხოლო მთავარი საგანი აღორძინდეს; ამისი მომხრე და მოთავე უნდა იყოს ყოველი შეგნებული ნაწილი და მათს კვალს მიჰყვებიან დანარჩენებიც.

ჩვენ არა გვგონია იყოს სადმე ისეთი მივარდნილი კუთხე, სადაც-კი ქართველები სცხოვრობენ, რომ მათში ერთი ან ორი არ ერიოს შეგნებული მამულიშვილი და ეს გვაიძულებს და გვამხნევებს კიდეც, რომ ყველას მოეფინება ნათელი სხივი ილიას იუბილეის მნიშვნელობისა. ჩვენ, პეტროვსკის ქართველობაც არ ჩამოვრჩებით საერო საქმეში და, სხვებთან ერთად, ჩვენ მზადა ვართ ამ დღესასწაულისათვის ჩვენს ხელმოკლეობასთან ბევრი შევსძლოთ.

გ. თოიძე.



გიგო თოიძე

(გაგრძელება იქნება)

გიო კილაძე

რატომ არ ხვდებიან საზოგადოებას კომპანია „პარვუს ჯგუფის“ ხელმძღვანელები?

მოვთხოვეთ ინფორმაციის მოწოდება, გარემოსდაცვითი კვლევები, სამოქალაქო საზოგადოებისა და ადგილობრივი თემისთვის. შედეგად ისე აგრძელებენ საამშენებლო სამუშაოებს, რომ არანაირი ინფორმაცია არ მოუწოდებიათ.

„ეკომ“ წერილით მიმართა გარემოს ეროვნულ სააგენტოს მოეწოდებინა საჯარო ინფორმაცია, რასაც ფლობდნენ „ბასრა 1“, „ბასრა 2“, „ბასრა 3“ ჰესის პროექტის შესახებ. რამდენიმე თვის შემდეგ მივიღეთ პასუხი. როგორც ირკვევა, კომპანია „პარვუს ჯგუფს“ 2023 წლის 31 ივლისს სსიპ-ეროვნულ სააგენტოს გაუგზავნა წერილი კითხვით – „ვგეგმავთ 3 ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას, თითოეული 1.98 მგვტ და გთხოვთ გვაცნობოთ საჭიროებს თუ არა აღნიშნული სიმძლავრის პროექტები „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი პროცედურების გავლას და შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწვეტილების მიღებას“.

სააგენტომ 5 სამუშაო დღის ვადაში უპასუხა კომპანიას – „ვინაიდან „ბასრა 1“, „ბასრა 2“, „ბასრა 3“ ჰესების სიმძლავრე 2 მგვტ-ზე დაბალია,აღნიშნული საქმიანობა არ საჭიროებს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებულ პროცედურების გავლას.“

*ბოლოში კი მიუწერა: – **ჩვენთან შეთანხმებული უნდა იქნას ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღების ტექნიკური პირობებიო. სხვა მოთხოვნა ან დაინტერესება არც ყოფილა, რას აგებთ ან გარემოსდაცვითი რაიმე კვლევებს თუ აწარმოებთო.***

მანამდე კი კომპანიას ხელშეკრულება გაუფორმებია ეკონომიკის სამინისტროსთან 2021 წლის 19 ივლისს, ნათია თურნავას მინისტრობის დროს.

ხელშეკრულებაში იკითხება, რომ ჩაუტარებიათ ტექნიკურ-ეკონო-მიკური კვლევა.

ზემოთ დასმულ კითხვაზე პასუხი: სწორედ ამიტომ ხდება კასკადური დანაწევრება, რომ ნიშნული სულ მცირედით ჩამოცდეს 2 მგვტ-ს და გარემოსდაცვითი კვლევები არ ჩატარდეს,აბა 0,02 სირცხვილ ნამუსის კი არაა.“–გვიპთხრა „ეკომ.“

მდინარე ბჟუჟის ხეობაში ჰესების მშენებლობის მიზანშეწონილობის თემაზე ჟურნალისტურ კვლევას ვაგრძელებთ.

რედაქცია მოწოდების შემთხვევაში ასევე გამოაქვეყნებს კომპანია „პარვუს ჯგუფის“ პასუხებებს მდინარე ბჟუჟის ხეობაში ჰესების მშენებლობასთან დაკავშირებით.

ლაზარე ჩხარტიშვილის პირველი ოქრო

ოზურგეთელმა **ლაზარე ჩხარტიშვილმა** მნიშვნელოვანი წარმატებით დაიწყო ახალი სპორტული წელი და პირველივე თვეში, პირველ ოქროსაც გაუსინჯა კბილი. ბათუმში ჩატარებულ ღია რეიტინგ-ტურნირში- **ACF CUP 2024**“, რომელიც აჭარის ჭადრაკის ფედერაციის ორგანიზებით ჩატარდა., საკმაოდ ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. 36 მონაწილეს შორის ლაზარემ, რომელსაც ჯერ 9 წელიც არ შესრულებია, 10 წლამდე კატეგორიაში პირველი ადგილი დაიკავა. რა თქმა უნდა შედეგით კმაყოფილია მწვრთნელი – **დავით მაღალაშვილიც,** რომლის ხელმძღვანელ-ობით გასულ წელს ლაზარემ წარმატებების ნადვილი კასკადით გაახარა თავისი გულშემატკივრები. (მხედველობაში გვაქვს მისი წარმატებები მსოფლიოს და ევროპის პირველობებზე, რესპუბლიკურ და რეგიონალურ ჩემპიონატებში და ტურნირებში და სხვ.) ალბათ მოპოვებულ ოქროზე არანაკლებ წარმატებად უნდა ჩაითვალოს ლაზარეს პირადი რეიტინგის +162 (!!!) ერთეულით მატება, რაც მან უფროსებთან კარგი თამაშით მიაღწია.

ვულოცავთ ლაზარეს ახალი საჭადრაკო სეზონის წარმატებულ დასაწყისს.

იმედია მას სხვა გურული მოჭადრაკეებიც აუბამს მხარს.

ზურაბ ანდღულაძე,
გურიის ჭადრაკის ფედერაციის
თავმჯდომარე

ფრიდონ ჩხარტიშვილმა ირანის საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვა

ურეკის ბოქსის და კიკბოქსინგის აკადემიის მოსწავლე **ფრიდონ ჩხარტიშვილი** წარმატებით გამოვიდა ირანში გამართულ საერთაშორისო ტურნირში კიკბოქსინგში 1 წესებით და გაიმარჯვა. ფინალში მან ირანელი მოწინააღმდეგე დამარცხა. ირანში ურეკის ბოქსისა და კიკბოქსინგის აკადემიის მეთაურობით საქართველოდან იმყოფებოდნენ ბათუმის კიკბოქსინგის და საბრძოლო ხელოვნების აკადემიები.

ვულოცავთ **ფრიდონ ჩხარტიშვილს** და მის მწვრთნელს **დავით სარიშვილს** (დელეგაციის ხელმძღვანელი) ამ წარმატებას.



სკანვორდი



პასუხები:

ეიფელის კოშკი; ეფესოს ტაძარი; ბაბილონის ჩიხირნახული ბაღები; ალექსანდრიის მაგალითი; ზევსის ქანდაკება; ოლიმპიადა; ალიკარნასის მავზოლეუმი; ბრინჯაოს ეპოქა; ბრინჯაოს ეპოქა – ეგვიპტე; ეგვიპტე – ბრინჯაოს ეპოქა; ეგვიპტე – ბრინჯაოს ეპოქა; ეგვიპტე – ბრინჯაოს ეპოქა

ხსოვნა

მამა ნიკოლოზის ხსოვნას

გარდაიცვალა არქიმანდრიტი **მამა ნიკოლოზ ღლონტი,** კაცი, რომელმაც ჯერ კიდევ კომუნისტების დროს, გურიაში, სოფელ შემოქმედში, პირველი წირვა ჩაატარა.

ალბათ ღირს ამ მოვლენის გახსენება

ეგრეთ წოდებული „ვარდაქმნის“ დროს, ცოტა თავისუფლების სიომ დაუბერა. ვრცელდებოდა ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავასა და სხვა ეროვნული მოღვაწეების იდეები.

1987 წელს, სურვილი გაგვიჩნდა, გაგვეხსნა შემოქმედის ტაძარი, რომელშიც კომუნისტებს სახალხო აკადემია ჰქონდათ გახსნილი. ეს იყო კომუნისტების მიერ ჩადენილი ბოლო მკრეხელობა. საკურთხეველში კანკელი მოხსნეს და მუზეუმში გადაიტანეს, „ბატონი აკადემიკოსები“ საკურთხეველში ისხდნენ და ამბიონზე, ტრიბუნიდან, ლექციებს კითხულობდნენ.

ეროვნული მოძრაობის დროს, ჩემს სახელოსნოში (რომელიც თეიმურაზ ქილიფთარმა აგვიშენა) ვიკრიბებოდით: დათო შალიკაშვილი, ავთო თავართქილაძე, ვახტანგ თოხაძე, რეზო ჯაში, ბაგრატ ჭკუასელი და თქვენი მონა მორჩილი. გადავწყვიტეთ შეგვექმნა რელიგიური „ოცეული.“ დათო შალიკაშვილმა (იმ დროს მედავითნე იყო ანჩისხატის ეკლესიაში) ჩამოგვიტანა პატრიარქის ოფიციალური დასტური, თუკი ოცეულს შექმნიდით, გამოგვგზავნიდნენ მოძღვარს.

პირველ ოცეულში ჩაეწერნენ: ეთერი დუმბაძე, დათო შალიკაშვილი, ავთანდილ თავართქილაძე, ვახტანგ თოხაძე, ვახტანგ მამეიშვილი, მაყვალა გალოგრე, ელიზბარ სადრაძე, ვალიკო ჯახვა და სხვები.

ორი ოცეული დაგვიშალეს, გვაშინებდნენ მესამე ოცეული ვერ დაშალეს. ახალგაზრდა იურისტის, ეროდი გორდელაძის რჩევით, განცხადება გავაგზავნეთ მინისტრთა საბჭოში. ჩვენი მცდელობა ამაო აღმოჩნდა. შემდეგ მივმართეთ მოსკოვში, მინისტრთა საბჭოს და ჩვენდა გასაკვირვად, დადებითი პასუხი მოვიდა.

უკვე შეგვეძლო, ოფიციალურად შეგვექმნა ოცეული, მოგვეწვია მღვდელი. პატრიარქს გაუხარდა და შეგვაქო: ყორაღ გურულებო, გამოგიგზავნთ გურულ მღვდელსო!

1988 წელს ჩამოვიდა მამა ნიკოლოზ ღლონტი. წავიყვანეთ შემოქმედის ეკლესიაში, შეიკრიბა ხალხი. საქმე იქაურობის დასუფთავებით დავიწყეთ. მერე მუზეუმიდან ამოვიტანეთ კანკელი და იმავე ღამეს, მამამ პირველი წირვა ჩაატარა.

თითქმის ყოველდღე ვიკრიბებოდით, მამა ნიკოლოზი ნელ-ნელა გვაჩვენდა, თუ როგორ მოქცეულიყავით ეკლესიაში. ვხედავდი, ჩვენში როგორ იცვლებოდა ცხოვრების არსი. მამაო ბრწყინვალე მოქადაგე აღმოჩნდა; უაღრესად განათლებული, კარგი ორატორი.

მრევლი თანდათან იხვეწებოდა. მამამ მოიტანა რელიგიური წიგნები, ლოცვანი და ყველაფერი, რაც ქრისტიანისათვის აუცილებელი. ატარებდა ნათლობებს, ჯვრისწერას. შემოქმედში იკრიბებოდა ხალხი ოზურგეთის თითქმის ყველა სოფლებიდან, ქალაქიდან.

მამა ნიკოლოზი დაუნდობელი იყო იმათ მიმართ, ვინც ღმერთს უარყოფდა. ამავე დროს, ასწავლიდა, თუ როგორ ეცნოთ ღმერთი. გამოზარდა სტიქარონები, მნათეები; ამზადებდა დიაკვნებს, მღვდლებს, მგალობლებს. გვასწავლიდა ეკლესიურ ცხოვრებას. ამავე პერიოდში, როცა გაუქმდა დანჩენკოს მუზეუმი, შენობა გადაეცა შემოქმედის ეპარქიას. მამა ნიკოლოზმა იქ ააშენა პატარა ეკლესია და შექმნა დედათა მონასტერი. ბოლოს, თავადაც შემოქმედში გადავიდა საცხოვრებლად.

ღმერთმა ნათელი დაუმკვიდროს, დიდია მისი დანაკლისი. ის იყო მართალი სიტყვის კაცი, რომელმაც გვასწავლა ქრისტეს სიყვარული.

ვახტანგ მამეიშვილი,

ზაირა გოგიბერიძე

ცხოვრობენ ჩვენს გვერდით ადამიანები, რომლებიც თავიანთი საქმიანობით წარუშლელ კვალს ტოვებენ და მათი წასვლა ამ ქვეყნიდან დიდ ტკივილს იწვევს. ასეთი ადამიანი გახლდათ ქალბატონი **ზაირა გოგიბერიძე,** უკეთილშობილესი, უსაყვარლესი ადამიანი, თაობათა აღმზრდელი და მეთაური.

ზაირა გოგიბერიძე წლების განმავლობაში მუხლჩაუხრელად, რუდუნებით ასწავლიდა დაწყებით კლასებს ქ. ოზურგეთის მეორე საჯარო სკოლაში. იგი პატარების დამკვალიანებელი და მეგზური იყო ცოდნის სამყაროში. მისი პედაგოგიური მოღვაწეობის პერიოდში არ ყოფილა შემთხვევა, რომ მას გულგრილობა ან უპასუხისმგებლობა გამოეჩინოს თავისი საყვარელი საქმისადმი.

მუდამ მოფუსფუსე, მაძიებელი, მეგობრული, ბავშვის ინტერესების გამთვალისწინებელი –ასეთი იყო ზაირა მასწავლებელი. ქალბატონი ზაირა დაჯილდოებული იყო უამრავი სიგელითა და დიპლომით.

წავიდა ჩვენგან მართლაც გამორჩეული, სულით და ხორცით მასწავლებელი, თბილი გულის, ამაგდარი, ვალმოხდილი ადამიანი.

ღმერთმა ნათელში გამყო-ფოთ ზაირა მასწავლებელო!

ოზურგეთის №2 საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი ოზურგეთის რაიონული სპმთპ ორგანიზაცია

ლია კუტუბიძე

უსაზღვრო გულისტკივილი... ქართულ პედაგოგიურ საზოგადოებას კიდევ ერთი ღირსეული პედაგოგი გამოაკლდა.

გარდაიცვალა პროფესიაზე უსაზღვროდ შეყვარებული, უანგარო პედაგოგიური ნაღვაწით დამშვენებული, უდიდესი პასუხისმგებლობისა და მაღალი ინტელექტის მქონე, ქართული სიტყვიერების მადლის გამზიარებელი, დვაბზუს საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი **ლია კუტუბიძე.**

სიცოცხლე უყვარდა, მაგრამ საზრელმა ტრაგედიამ არ დააცალა ამ ქვეყნად ყოფნა. თავზარდამცემი იყო მისი გარდაცვალება, რის გამოც უჩვეული ტკივილი დაგვეუფლა.

ქალბატონი ლია ათეული წლების მანძილზე შინაარსიანი მაღალპროფესიული ღვწით, ულევი ცოდნით ატარებდა საქართველოს სიყვარულის გაკვეთილებს, ნაყოფიერი კეთი-ლშობილური მოღვაწეობით აღსაზრდელებში გულის სითბო და სიყვარული ჩააქსოვა. სამანდაუდებელი სიყვარულით აზიარა თაობები „შემკულსა და კურთხეულ, ქართულ სიტყვას.“ უშურველად ალამაზებდა ბავშვის სულს, შთაუნერგავდა მამულის სიყვარულს, იღვწოდა მათი ხვალინდელი დღისათვის. რის გამოც აღსაზრდელთა უსაზღვრო მადლიერებასა და სიყვარულს იმსახურებდა.

იყო არაჩვეულებრივი, უსაყვარლესი ვაჟკაცის აღმზრდელი.

ქალბატონმა ლიამ აღსრულებული მოვალეობით განვლო სავალი, ღირსეულად ზიდა, მაგრამ საპატიო ტვირთი პედაგოგისა. სინდისიერად ემსახურა მომავალი თაობის აღზრდის კეთილშობილურ საქმიანობას.

ღვაწლმოსილი პედაგოგის ქალბატონ ლია კუტუბიძის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება კოლეგების, აღზრდილების, უახლოესი ადამიანების გულში.

უფალმა სასუფეველი დაუმკვიდროს ზეციურ საქართველოში.

როზა გოგუაძე,
სპმთპ-ის ოზურგეთის
რაიონული ორგანიზაციის
თავმჯდომარე.

შემოქმედის დედათა მონასტერს უძველესი, უნიკალური ჭედური ხატები გადასცეს

მამა ნიკოლოზის ვაჟმა **სულხანმა** შემოქმედის დედათა მონასტერს უძველესი ჭედური ხატები გადასცა.

კიდევ ერთხელ, ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ არქიმანდრიტი ნიკოლოზის (ღლონტი) გარდაცვალების გამო. ფასდაუდებელია მამა ნოკოლოზის ღვაწლი შემოქმედის მონასტრის წინაშე.

მამა ნიკოლოზის უკანასკნელი სურვილის თანახმად, მისმა შვილმა სულხანმა ღირსეულად აღასრულა მამის ანდერძი და ჩვენს მონასტერში მოაბრძანა უძველესი, უნიკალური ჭედური ხატები:

1.მაცხოვარი;

2.წმ. დიდმოწამე გიორგი;

3.წმ. დიდმოწამე ევსტათი პლაკიდა;

4 .ტრაპეზის ჯვარი.

+მათითა მეოხებითა ქრისტე ღმერთო აცხოვნე არქიმანდრიტი ნიკოლოზის სული.

წერს შემოქმედის დედათა მონასტერი .

ქ. ოზურგეთის №1 საშუალო სკოლის 1972 წლის მე-10 ბ კლასის კურსდამთავრებულები იუწყებიან თანაკლასელის, დვაბზუს საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის **ლიანა კუტუბიძის** ტრაგიკულად დაღუპვას და თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახს და ახლობლებს.

თემურ მარშანიშვილი თანაუგრძნობს ამირან გოგიტაურს მეუღლის **ზინა სიხარულიძის** გარდაცვალების გამო.

ნუგზარ ასათიანი, თემურ მარშანიშვილი თანაუგრძნობენ დავით მდინარაძეს სიდედრის **ნორა ქუტიძის** გარდაცვალების გამო.

„ორბი ჯგუფმა“ ბახმაროს მრავალფუნქციურ კოლმპლექსში აპარტამენტების გაყიდვა დაიწყო

კომპანია „ორბი ჯგუფი“ ბახმაროში, მრავალფუნქციური სასტუმროს მშენებლობას იწყებს. ახალი პროექტის პრეზენტაცია, თავად ბახმაროს პროექტის ავტორმა, მსოფლიოს ტოპ ხუთეულში შესულმა კომპანაია **WilkinsonEyre**-ის პარტნიორმა და დირექტორმა, მსოფლიოში ცნობილმა არქიტექტორმა სემ ვრაითმა გამართა.

მრავალფუნქციური სასტუმრო კომპლექსის აპარტამენტების გაყიდვა უკვე დაიწყო. „ორბი ჯგუფი“ ბახმაროში 350 სასტუმრო ნომერს გაყიდის, რომელიც პრემიუმ კლასის იქნება. ყველა აპარტამენტს ექნება ტერასა, მთისა და ტყის ხედებით. აპარტამენტების მინიმალური ფასი კვადრატულ მეტრზე 1500 დოლარიდან იწყება, მაქსიმალური ღირებულება კი, 5000 დოლარს აღწევს.

სასტუმრო კომპლექსი ბახმაროს უნიკალურ ადგილზე განთავსდება და მთლიანად იქნება ადაპტირებული ადგილობრივ ლანდშაფტთან.

პროექტის ტერიტორია მოიცავს 8 ჰექტარ მიწის ნაკვეთს, საიდანაც 1 ჰექტარზე სასტუმრო კოპლექსის შენობა განთავსდება, ხოლო 7 ჰექტარი მთლიანად დაეთმობა რეკრიაციულ და დასასვენებლ სივრცეებს.

მრავალფუნქციური კომპლექსი გააერთიანებს სპორტულ მოედნებს, რესტორნებს, კაფეებს, სპა და სპორტულ გამაჯანსაღებელ ცენტრებს, მოეწყობა ასევე დასასვენებელი პარკი, ატრაქციონები, რეკრეაციული ზონები, ბავშვთა გასართობი ცენტრები, კინოთეატრი, საცურაო აუზი და პარკინგი, რაც კურორტს საშუალებას მისცემს ყოველწლიურად 300 000-ზე მეტ ტურისტს მოემსახუროს.

“ორბი ჯგუფის მიზანია ბახმარო 4 სეზონიან კურორტად გადაიქცეს, შეიქმნას თანამედროვე, მაღალი ხარისხის ინფრასტრუქტურა და სერვისი, რომელიც უნიკალური იქნება როგორც რეგიონში, ასევე მთლიანად საქართველოსა და საერთაშორისო მასშტაბით.

ბახმაროში არსებული მკაცრი კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, მშენებლობის ხანგრძლივობა დაახლოებით 2 წლის ვადაზეა გათვლილი და 2025 წლის ბოლომდე დასრულდება.

ჩვენი მიზანია, ბახმაროს ახალი სიცოცხლე შევსძინოთ, შევუქმნათ საერთაშორისო იმიჯი და მისი საკურორტო თვისებების ხაზგასმა მსოფლიო დონეზე მოვახდინოთ“,-აცხადებს, კომპანია „ორბი ჯგუფის“ გენერალური დირექტორი, ირაკლი კვერღელიძე.

კომპანია „ორბი ჯგუფის“ გენერალური დირექტორი ამბობს, რომ ბახმაროში, მრავალფუნქციური კომპლექსის პროექტის განხორციელება, ხელს შეუწყობს ადგილობრივების დასაქმებასა და მეურნეობების განვითარებას.

„ეს არის ძალიან კარგი ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელიც დამატებითი სამუშაო ადგილების, დამატებითი ტურისტული ნაკადების გაზრდის საფუძველი გახდება, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს ადგილობრივი მეურნეობების განვითარებასა და საკმაოდ ბევრი ადამიანის, რეგიონში დაბრუნებას. ეს ადამიანები, დარწმუნებული ვარ, ძალიან ეფექტურად და შედეგიანად უზრუნველყოფენ იმ სერვისების მიწოდებას ბახმაროსთვის, რომელიც ამ კურორტს ასე სჭირდება,-აცხადებს, ირაკლი კვერღელიძე.

ბახმაროს მრავალფუნქციურ კომპლექსში აპარტამენტების შეძენის მსურველთათვის, მოქნილი და მომხმარებელზე მორგებული გადახდის პირობები მოქმედებს, რომლის მიხედვითაც, შეგიძლიათ აირჩიოთ კომპანიის მიერ შემოთავაზებული შიდა განვადება, ან ისარგებლოთ ბანკის გრძელვადიანი კრედიტით, რომელიც სპეციალურად „ორბი ჯგუფის“ მომხმარებლებისთვის გაიცემა.

ბახმაროში, „ორბი ჯგუფის“ აპარტამენტების შეძენის მსურველებმა უნდა დარეკოთ ნომერზე: +995 322 50 50 15; +995 555 31 00 00:

ან ეწვიეთ ვებ-გვერდს: **https://orbigroup.ge/geo/bakhmaro**

რ

შეხვედრა მწერალ დავით ქართველიშვილთან

მეტად საინტერესო შეხვედრა შედგა დღეს წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბახვის საჯარო სკოლაში მწერალ დავით ქართველიშვილთან.

დავით ქართველიშვილი თანამედროვეობის ერთ -ერთი საინტერესო ავტორია, იგი ლიტერატურული კონკურსის „სბას“ გამარჯვებულია, ავტორია ისეთი ცნობილი რომანებისა ,როგორებიცაა: „იყო დილა იყო საღამო“, „ათი ქალწული“, „მეგაპოლისი“, „ფიზიკური პირები“ და სხვა.

შეხვედრა ძალიან საინტერესოდ კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, მოსწავლეებისა და დამსწრე მკითხველის შეკითხვებს ავტორმა უშუალოდ და გულწრფელად უპასუხა, თავად დავითი ძალიან შთამბეჭდავი მოსაუბრეა.

შეხვედრას ესწრებოდნენ სკოლის აღზრდილი მწერალი , ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ქეთევან გარაყანიძე (შეხვედრის ინიციატორი სწორედ ქეთევანი გახლდათ), ქვედაბახვის, მშვიდობაურის და შემოქმედის საჯარო სკოლების მოსწავლეები და სიტყვიერების მასწავლებლები. ჟურნალისტები ნუგზარ ასათიანი, თემურ მარშანიშვილი და ბატონი ავთანდილ ბერიშვილი,

ძალიან საინტერესო კითხვები დაისვა დარბაზიდან ნაწარმოების პერსონაჟების მსოფლმხედველობის შესახებ.

სასიამოვნო ფაქტია,რომ ჩვენი ბავშვები კითხულობენ, ღრმად აზროვნებენ და ფიქრობენ.

ბოლოს მწერალმა დავით ქართველიშვილმა ავტოგრაფები დაუტოვა ბავშვებს წიგნებზე და გადაიღეს სამახსოვრო სურათები.

დამსახურებული აღიარება

ქართველ ხალხის სულს და ნებას,
ნაპერწკლების ცეცხლით შეძლებს
თვით ლა სკალის განათებას.

კულტურის სამყაროში კარგად ცნობილ ქართველ მოცეკვავეთა ანსამბლ „ზენაარის“ წევრებს, ქორეოგრაფებს და მის ხელმძღვანელს, გულიან ქართველ კაცს მელისი ნადირიძეს გულწრფელად ვულოცავთ აკადემიური ანსამბლის წოდების მინიჭებას.

მიღწეულ წარმატებებში უდავოდ მნიშვნელოვანია ანსამბლის წევრთა მშობლების მხარდაჭერა. მადლობა მათ ქართული კულტურის სასიკეთოდ გაწეული ღვაწლისათვის.

„ზენაარი“ დიდი ხანია გამორჩეულად სასიკეთო როლს ასრულებს ახალგაზრდობის ზნეობრივი აღზრდის, ეროვნული ცნობიერების ფორმირებისა და იდენტობის შენარჩუნების. ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეში.

შრომა უნდა მირიადი,
ცერზე დგომას და აფრენას,
ცეკვით შეძლებს ზენაარი
იალბუზზე გადაფრენას.
რადგან გულწრფელად აღვივებს,

„ზენაარს“დიდებული წარსული და აწმყო გააჩნია. მშვიდობიან, წარმატებულ და ბედნიერ მომავალს ვუსურვებთ სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ომარ ბაკურაძე,
ფაზისის საერო, სამეცნიერო, საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი

დაფინანსებულია

წვიმა +2+9	წვიმა +3+7	წვიმა +5+10	ღრუბელი +8+17	წვიმა +5+11	მზე +5+16	მზე +6+18
5 თებერვალი ორშაბათი	6 თებერვალი სამშაბათი	7 თებერვალი ოთხშაბათი	8 თებერვალი ხუთშაბათი	9 თებერვალი პარასკევი	10 თებერვალი შაბათი	5 თებერვალი კვირა